



204 /
1920/09

Խ9,10

მაზი რა ღვინო

წელიწადი პირველი.

№ 8

1—15 მარტათვე 1920 წ.

№ 9

შ 0 6 1 1 6 6 0 :

- | | |
|-----------------------------------|-------------------|
| 1. მოწინავე | 6. ჩოლაყაშვილი. |
| 2. ლვინის წარმოშობა | მის. შალამბერიძე. |
| 3. წესდება | |
| 4. ლვინის კანონ-პროექტი | |
| 5. პრესსა | ნარ-ჭენი. |

1956 5

1956 5

ურნალის გამოცემის პირობები:

ეურნალი ჯერჯერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, არანაკლებ 16 გვერდისა, ითომ ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია 50 მან. ამ ფასით ურნალის გამოწერა შეიძლება სამი თვით.



ურნალის რედაქცია იშუთვება საბჭოს ბანაზედ — თბილისი, ბარიატინსკის ქუჩა № 5.

კომისარიათი
სახელმწიფო მუზეუმი



Кахетинское Косперативное Винокуренное Общество
СОЮЗЪ СОЮЗЪ
Виноградарей Кахетии

თბილისი რუსთაველის ქუჩა № 33
კახეთი, სადგური „მუკუჭანი,” კახეთის რეინის გზა.

„კავშირთ-კავშირი“ დაბრუებულია 1918 წელს. წესდება დამტკიცებულია თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 1919 წლის 8 თებერვალს. „კავშირთ-კავშირში“ შედიან ველისცისი, კურჭაანის და კარდანახის ძემნასველ გამსესხებელი ამსახლებანი 4400 წევრით, რომელთან 4200 ღმერინა ვარდის აქვთ.

„კავშირთ-კავშირის“ გამგეობა, მთავარი კონტორი და საწყობი მოთავსებულია საქუთარ ბინაზე კახეთის რკინის გზის სადგურ მუკუჭანთან.



საქართველოს და მუშა ხელის გაძირების გამო დღეიდან უტრნალი

“ვაჟი და ლინი”

ელირება ၫ၀ მანეთი

თბილისი 1920 წ. 16 მეათათვე

ჩეენი ორკვერეულის დღევანდელ ფურცლებზე იბეჭდება საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს მიერ შემუშავებული წესდება სრულიად საქართველოს მეღვინე და მევენახეთა ყრილობებისა.

საბჭომ ეს წესდება შეამუშავა თანახმად წარსული წლის 23 გიორგობისთვის მოწვევულ კონგრესის დავალებისა, რომელმაც მკაფიოთ აღნიშნა სულის კვეთა ყველა ჩეენი ვაზის მუშისა და დაადგინა, რომ თვით მევენახეთ შეექმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გაუძლვებოდა ამ დარგის ყველა საჭიროებას.

ასეთი ორგანიზაციის შექმნა გამოიწვია ცხოვრებამ; ყოველივე ექვს ვარეშე და უდარი ის დებულება, რომ ცხოველ და დიდ საქმეს გასაძლოლათ, თვით საქმის კირისუფალი უნდა ედგნენ სათავეში და ლელო თვით გაიტანონ.

არცერთი წამი დასავიწყორი არ არის, რომ დღევანდელი ჩეენი მევენახეობა-მეღვინეობა დიდ კრიზისს უახლოვდება და თუ სათანადო აღლო არ აედო, შეიძლება მდგომარეობა შეიქმნეს აუტანელი.

ზეზეურათაც რომ გავითვალისწინოთ აწინ ტრლი მდგომარეობა ამ უაღრეს დიდ მნიშვნელოვან დარგისა, დავინახევთ რომ ჩეენი დაინორები დაგუბრებულია, რადგან მათი დღევანდელი ლირსება ვერ აკმაყოფილებს გარეშე ბაზარს და, თუ სხვა წესით

დამუშავებას და ნაწარმოების გაუმჯობესობას არ მივყავით ხელი, არც მოსალიდნელია რომ ფართო გარეშე ბაზარი მოვიპოვოთ. ასეთი მდგომარეობა არაც უ დასცემს ამ დარგს, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებას მეტ ხორცათ მოველინება, რადგან წლიურათ საზღვარგარეთიდან მარტო შაბამან-გოვირდის შემოტანა რამდენიმე ათეულ მილიონისა საჭირო და ამის ღირებულების ღვინოც რომ არ გავიტანოთ საზღვარ-გარეთ, ამ შესალების ღირებულება სახელმწიფო სალაროს აუნაზღაურებელ ზარალთ უნდი დააწვეს.

დღევანდელი კახეთის ჩინგბული ვენახები, რომელიც ზურმუხტის ფრათ აბიბინებული აღაზნის ველის ბეჭობებზე გადაჭიმულან და ზღაპრულ წალკატს მოგავონებენ, ათიოდე წლის შემდეგ უვაზო ქვეყანად იქცევა, ამდენად ბეჭრ აღაგის არ აღმოჩენილი ფილოქსერა; ერთერთი საშუალება კი, ამერიკულ ვაზზე მათი გადაშენება არსად სწარმოებს—რევოლუციის ქარიშხალმა ჩანთქა და გაანადგურა ჩეენი ქვეყნის ამერიკული ვაზის სანერგები და დღის არც კი მოგვეპოება საშუალება საღმე ვიშვავოთგინდ მესახედი ნაწილი იმ ვაზისა, რაც გვპირდება; საჭიროა ამერიკული ვაზის სანერგების აღდენა და გაფართოვება.

ვენახების მოსაწამლი მასალები და იარაღები ცხოველიდან მოგვიდის; ვიდრე ვაზის მუშას მიაღწევს, ათიოდე ხელში გადადის და აფილობრივ მამასისხლის ფასად იყიდება, რის შედეგია ბევრჯელ ვენახების ან სრულიად ან ნაკლებ მოწამვლა და ამის გამო მოსალის დაილუპვა.

ჩეენი მევენახეობა-მეღვინეობის რაციონალურ ნიაღვებზე დასაყენებლად საჭიროა ამ დარგის შესწავლა გამოკვლეულ მეცნიერული თვალსაზრისით და ამის მი-

ლ ვ ი ნ ი ს მ ა რ ა მ ა შ ი გ ა .

ლ ვ ი ნ ი ს მ ო მ წ ი ფ ე ბ ა .

ხედვით მევენახეთა წრეებში უტენა ამა-
თუ იმ ცვლილებისა.

კანონმჟებლობა, რომელიც ვაზს და
ლინის ეხება, დადასტურებული უნდა იყ-
ოს თვით ამ დარგის მომუშავეთაგან და ყო-
ველ შემთხვევაში არ უნდა ელობდოდეს
ამ დარგის გაფართოება გაუმჯობესებას.

ჩვენ წვრილ მევენახეთ არ ძალუდა
შექმნან მოწყობრილი სარდაფები ღვინის
დაყენების და შენობების გასაუმჯობესებ-
ლად; ამისთვის საჭიროა ძლიერი კომპე-
რატიული ამხანაგობათა მოწყობა და ხელ-
მძღვანელობა.

იმ ყველა ამაზედ და ბევრ სხვა მე-
ვენახეთა და მეღვინეთა აუცილებელ სა-
კიროებაზედ მოუხდება ზრუნვა იმ ორგა-
ნოს, რომლის წეს დებების პარენტიც ჩვენ
დღევაზე თარგმნში იღებდება.

ს ბეჭ დაიკედებულია, რომ ჩვენი ქვეყ-
ნის მესვეური სახეს გაისწვენ ანგა-
რიშს ამ თვით ქოვებებისაგან გამოწვეულ
დაწესებულების შექმნას, რომელიც იზ-
რ-ნავს მევენახეობა-მრღვინეობის წარმო-
ქის მოვარეობასა და განვითარებაზე; და
შემოდგომაზე, როდესაც დამფუძნებელ
კრებას მოსხენდება დასამტკიცებლათ
წესდება სრულიად საქართველოს მეღვინე
და მევენახეთა ყრილობებისა, იგი ერთ-
მათ მიღებული იქნება. დასავლეთ ერთ-
პაშიაც, სიტონიგეთში და გერმანიაში, თუ
დღესდღეობით მევენახეობა-მრღვინეობამ
უმაღლეს განვითარების საფეხურს მიაღ-
წია, ხოლოდ თვით ამ დარგში მომუშა-
ვეთა შევავშიოებით და საკუთარ ძალი-
ნით საქმის მივარებით მოახერხა.

ს. ჩოლაყაშვილი.

ჩვენში ტკბილის დუღილიც და ღვინის
დამწიფებაც ქვევრში ხდება. როგორც უკ-
ვი წინანდელ წერილში მოვიხსნიერ,
ღვინის დამწიფებისათვის საჭიროა ჰაერი,
ან უკეთ რომ ვსეკვათ, მისი ჟანგბადი,
და ვეპკობ, რომ ამ ჰაერის ჟანგებადს ას-
ე გავლენის მოხდენა შეეძლოს ჩვენებუ-
რად მიწაში ჩაფლულ ქვევრებში შენა-
ხულ ღვინოზე. ვგონებ დარწმუნებით შეი-
ძლება ითქვას, რომ ღვინოების ჩვენებუ-
რად დაყენება და შენახვა ეცნიერუ-
ლად ჯერ სრულიად არ არის გამოკვლე-
ული, და არც თუ გონივრული გამოც-
დილება და დაკიონება აღნიშნავს ვს-
მეს. შესაძლებელია, ჩვენში არსებულ პი-
რობებში უკირატესობა თუ არა რამე შესა-
მნენე ლირსება ჰქონდეს ქვევრებში ღვი-
ნის შენახვას, მაგრამ იმის შესახებ ცნო-
ბების უქონლობის გამო არ შეიძლება
გადაწყვეტით რისამე იქმა.

განყენებულად მეციერულათ კი თუ
ვიმსჯელებთ, იმის მიხედვით რაც მვა-
ჰიელ სწავლულსა მეღვინეებმა მავალ-
წლობითი გამოცდილებით დასკვნეს, თამა-
დ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებურად
ქვევრებში დაყენებული ღვინოები, რაც
უნდა კარგ ჯიშის, კარგად მოწეულ ყურ-
ძნიდან და კარგ მეღვინესაგან იქმნას იგი
დაყენებული, ვერას ღრმას ვეზ შეედრება
იმავე ღვინოს, თუ ის ეკროპიულად იქმ-
ნა დაყენებული და კოდაში (ბოჩაში) შენახული.

სწორედ იმის გამო არა ერთხელ თქმუ-
ლა და დაწერილა, თუნდაც ამავე ჩვენს
„ორგორულში“, რომ, თუ ჩვენ კარგ
თვისებიანი და ლირსების ღვინო გვინდა

გვერდეს, რომელისაც ჩვენს სახელმწიფოს საზღვრების გარეთ უცხო სახელმწიფოთა ბაზარზედაც ექნება გასავალი, უკველად ჩვენებურად ყოველნაირი ღვინის კლეიტებიან ჭაჭა დაყენებაზე და ძველ უგში ღვინის შენახვაზე უარი უნდა ვთქვათ.

აირომ უმ აჩილესად ვთხოვ მყითხველს
მხედველობაში იქნიოს, რომ შემდეგში
ყველა ცნობები შეეხება კოდეგში (ბოჩა)
შენახულ ღვიძოს

պազցելնանը են սիկոլաց զգեթղղման
յիննմահենու (Թոյրուսկունու) հռմ ջայա-
կառաւու Մայնունացու, հռմ ոյ մայզալու-
տալուացու սիկոլացու մոլցի մուկացու-
նա սեցածսեցա մոմարուսլունուու ցավալու-
նու են չու մու սիկոլու մեսեզունու պյուս ց մո-
լոցնու, նոցս որ սիկորու վայրունու. ամետանս
վայրուն մոլցի ուստու տցւսցի պյուս, հռմ,
տու մատու ծոլոցնու համբ տեսունս մոցա-
ծցութու (տեսա մու հազարու), մալու ուսենու
մուլաւ ցոյցեցնուն դա տեսացու ամ վայրուն
մոլցինու մցորու ծոլունու ցամունին ցեցիս;
հաջան այց ցոյցաւ ց մոլցի ուսցրելուցուն
տեսաւս, ամուրու աշցան մոլցի ց վայրու-
նա սեցրեցունու; եռուն ու եց ան սեց համ
նուցու, հռմելուսաւ մայզալու ամես ունս
սեցրեցունու մոցեցնեցիս, ոյնցի վարելո-
ցանու.

და რო თესაც ღვინო ხის ჩამე კურ-
ქელშია (კოდაში, ბოჩქაში) მოთავსებული,
იმ სწორედ კოდის ხის მმ სვერტვის
კედლებში გადის ღვინო და ორთქლდება.
მაგ ჩამ ღვინის თბილანდი (ტემპერატურა)
კოდაში (ბოჩქაში) და იმ გარემოს ჰაერის
თბილანდი, სადაც ღვინით სავსე კოდა
იმყოფება მუდავ ერთი და იგივე არ არის.
ჩენ ვიცით, რომ ჰაერის თბილანდი (ტემ-
პერატურა) არა თუ ზემთარ ჰაერებულ,
დღე და ღამეშიაც კი ძალიან იცვ-

ලුදා. මාර්තාලිංග, යාරුද්‍ය මාර්තාලිංග වැනිවියෙන්
සිදු ප්‍රවානුවෙදා අත් කළේ තබුදාන්තිසා,
ක්‍රිස්තූප ගාහ්‍ය තැයැර්ණු, මාග්‍රාම පාර්ශ්ව
ප්‍රවානුවෙදා උසාප්‍ර මාන්ත්‍ර යුතුවෙන් අත්-
සේද්‍ය දේ.

როდესაც მარაში ჰაერი გათბება, გათბება კოდის (ბოჩკის) კედლებიც და კოდის გამთბარი კედლები გაათბობს ღვინოსაც, — ეს გათბობა შეიძლება ისე მცირე იყოს, რომ ზეტელ დაკირვებით თბილობელაც (ტერმომეტრი) ვერ შევამჩნიოთ. ჩვენ კი ვიცით, რომ გათბობით ყოველნაირი სხეული, მათ შორის ჰაერიც და ღვინოც, ფართოვდება (და სიმკვრივესაც იკლებს). კოდაში მოიახეს-ბული ღვინო და ჰაერი ამ გათბობისაგან გაიწვენ და თუ კოდის (ბოჩკის) პირი დაცუმდლი ძევს, შეგ შეიძლება ისეთი წნევა (დაწოლა) გაჩნდეს, რომ საცობი ამაგდოს. ყოველ შემზევევაში, ბევრი თუ ცოტა ჰაერი (თუ კოდა სავსე ამ არის, — ასაკი ველია, შეგ ჰაერიც იქნება) და ღვინო კოდისან (ბოჩკიდან) სცერტოვბის შემზეობით გამოვა. სამაგიროდ, როცა მარნის ჰაერის თბი დანდი (ტეპერატურა) დაიწევ, ცოტ თი გაცივდება. გაცივდება აგრეთვე კოდაში მოქცეული ჰაერიც და ღვინოც. ჩვენ კი ვიცით, რომ გაცივბით ყოველი სხეული, და მათ შორის როგორც ჰაერი ავტომატურად დვანება. იკუმშება და ნაკლებს ადგილს იკერს. ამიტომ კოდაში, ასე ვსთქვათ, თავისუფალი ადგილი გაჩნდება და, რაღაც გარედან კოდის კედლებზე შეტი ჰაერის წნევა (დაწოლა) იქნება ვიღრე შეგ კოდაში, გარედან ჰაერი (ჩვევის მნიშვნელოვანია ჰაერში არსებული უნგბადი) შევა კოდაში — თუ საცობი ახდი ლი ძევს ამ პირიდან, თუ არა და სცერტოვბის შემზეობით მეტის თუ ნაკლების

სისწრაფით — გაერქვა ლინის და იმოქმედებს მასშე.

ნათქვამიზან ცხადია, რომ რაც უფრო მაღალი თბილანდი (ტემპერატურა) იქნება და სწრაფად შეიცვლება მარნის ჰაერი, რაც უფრო მშრალი იქნება ეს ჰაერი და პატარა კოდებში (ბოჩქებში) შეინახება ლინო, — მაშასადმე ლინის ოპითქელის და ჰაერის მოქმედებას მეტი ასპარეზი ექნება დატოვებული; — და ამასთანავე რაც უფრო თხელი კედლები ექნება კოდას (ბოჩქას) და ნაკლებად მკრივ მასალიდან იქნება ის გაკეთებული, ლინო უფრო სწრაფად მომწიფდება, ვიდრე წინააღმდეგ პირობებში.

მომწიფებულად ითვლება ლინო, როდესაც მას უკვე მოპავებული, განვითარებული იქნება უკელა თავისი დამზადათგბელი თვისებები და ხანგრძლივად შეიძლება შენახოს იგი. ისეთი ლინო რომ ცოტანიბით ჰაერზე ახდილად დარჩეს, არ უნდა შეიცვალოს: არც გარემოს სისტემის ცვალებადოპამ უნდა იმოქმედოს მასზე და, პირდახურულ ჭურჭელში რომ დიდხანს შევინახოთ, არც იქ უნდა ამღღრს ან ნალექი რამ გააჩინოს. უოველივე ეს დამოკიდებულია, როგორც ტეპლის სრულ დადუღებაზე (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი) ავრეთვე ჰაერის მოქმედებაზე. ჰაერი ენგავს ლინის ზოგიერთ შემადგენელ ნაშილს, მათ უხსნელად აქცევს და ჰლექავს. მაგრამ როგორც საზოგადოდ, იქაც ზომიერებაა სავალდებულო ლირსეულ თვისების დეინის მიღებისათვ ს. — თუ ენგბაზმა საჭიროებაზე ხანგრძლივად იმოქმედა ლინოზე, შესაძლებელია მრავალი ძეირფასი თავისი თვისება და ჰკარგოს ლინოში. რამდენადაც ჰაერის ენგბაზი იხალს, მღვრიე და ცეალებად ლინოს, სწმენ ჯავს, ამშიფებს და ამტკაცებს, იმდენადვე იგი შემდეგ ართმევს მას მის კეთილშობილურ თვისებებს და, ასე ესთქვათ, აბერებს ამგვარად ლინოს. რასაკირველია იმის მიხედვით, თუ რა გვარი მასალიდან გვაქვს

ჩენ ახალი ლინო მიღებული და არა მარტივი ლინის გამოყვანა გვინდა, მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივ უნდა შევინახოთ ლინო კოდებში (ბოჩქებში) მათზე ჰაერის მოსაქმედებლად. ამის გამო საჭიროების მიხედვით ლინის ინახვენ ხან დიდობის კოდებში და ხან პატარებში, ხან გრილ სარდაფებში და ხან კი თბილს დაგილზე, ხან ხელად გაკეთებულს ჭურჭელში ისხამენ, რომელსაც შეგნით ლინის ქვა არა აქვს კედლებშიც დალექილი (ამისთანა კოდაში ჰაერი უფრო დაგილად იმოქმედებს ვიდრე ძეველ კოდაში, რომლის სერვეტოებიც ლინის ქვით არის ამოქმედილი), ხან ამისთანა კოდის (ბოჩქა) ზეთს ან ლაქსაც კი წაუსამენ ხოლმე, რომ ჰაერში არ იმოქმედოს ლინოზედათ — ამ საკითხის გადაწყვეტა თოქქმის სულ მოთლად გამოცდილ შელვინის ხელოვნებაზეა დამყარებული.

კოდაში (ბოჩქაში) ჰენახეის დროს ლინო, როგორც უკელამ იყის, ცოტ ცოტა ზრება. გაშრობილ ლინის რომელნობა კარგს სარდაფებში წლიურად უდრის $1\frac{1}{4}$ — $4\frac{1}{2}$ %-ს. თავისთვის ცხადია, რომ ეს გაშრობის რომელნობა პირდაპირ დამკიდებულია იმ ადგილის სიმთხვის სიმაღლეზე, სადაც შენახულია ლინო. მაგრამ პასტერმა იპოვნა აგრეთვე დამოკიდებულება კოდას (ბოჩქა) სიდიდის და გაშრობის შორის. მისი დაკვირვებით წლიურათ ჰკარგავს ლინოს

$150\text{ლიტ.} (=12\frac{1}{2}\text{ვედ.})$ კოდა — $3,5\%$ /₀ ს 500 " ($=41\frac{1}{2}$ ვ) } " $-2,5\%$ /₀ 1800 " ($=150$ ვ) } " $-1,7\%$ /₀ ამ გვარად, რაც უფრო დიდია კოდა მით უფრო ნაკლები ლინო იკარგება გაშრობით.

დაშრობისგან დანაკლებულ ლინოს წესირად შეესტა უნდა ყოველთვის, თორუებ მას ადვილად გაუწინდება თბის ან ძმის მცია და ჩქარა წახდება.

მიხ. შალამბერიძე.

(გაგრძელება იქნება)



შეცდომის გასწორება.

„ვაზი და ლკინო-“ს № 8, გვ. 8, სტრიქ-
ხევ. 8 სწორია: ლულილი უდროოდ ნელდება,
და ბზირად ჩერდება კიდეც, თუ თბილას მიმა
(ტეპერატურამ) 25—25-ს მიაღწია. უნდა
იყოს: თუ თბილანმა (ტეპერატურა) 25-ს ზე
მაღლა აიწია, ლულილი უდროოდ ნელდება,
და შესაძლებელია სულ მთლადაც გაჩერდეს,
თუ თბილანმა (ტეპერატურამ) 40—50° მი-

a. 3

ଓ ১৬৮০৮১

სრულიად ხაქართველოს მელინე და მე-
ვენახეთ ყრილობებისა.

I. ყრილობათა დანიშნულება.

§ 1. საქართველოს მელინებასა, მელინების გენერალური და ლინიონ კატეგორიებისთვის
და კავშირებების საკითხთა განსახილველად
და (გასაძლოლად) ქ. თბილისში იმპარიო
ბა ყოველწლიური ყრილობები სახელ
წოდებით „საქართველოს მელინე-და
მელინენახეთა ყრილობა“.

§ 2. ყრილობის ისახევს მიზნათ: უძა-
კავშიროს საქართველოს მეღვინე-მევენა-
ხენი საერთო ინტერესების დასაცავად
თვითმმართველობის საფუძველზე ხელი-
შეუწყოს მეღვინეობა-მევენახეობის გაუმ-
ჯობესებას, მევენახეთა ეკონომიკურად
აღორძინებას და ლინით ვაჭრობის მოწე-
სრიგებას სახელმწიფოს ინტერესების მი-
ხედით.

§ 3. მეორე მუხლში დასახული მიზნების განსახორციელებლად ყრილობა სოფორის თავის დანიშნულიდა:

8. მთავრობის, სახელმწიფო, საერობო
და საზოგადო დაწესებულებათათვის და-

ମାର୍ଗଦାର ମ ଶିଖାଲ୍ପଦାତା ଗାଁଚାନ୍ଦ୍ରପଟ୍ଟନାୟକ
ଦା ଗନ୍ଧେନ୍ଦ୍ରପ୍ରେସ୍‌ରେ ହୁଏ ହେଲେ
ଶ୍ରୀଶ୍ରୀଜନନୀପ୍ରେସ୍ ମେଲ୍‌କିନ୍‌ରେ ମେଲ୍‌କିନ୍‌ରେ
ଦେଇନିବ ପାଞ୍ଚମିନିମିନ୍‌ରେ ପାଞ୍ଚମିନିମିନ୍‌ରେ
ପାଞ୍ଚମିନିମିନ୍‌ରେ ପାଞ୍ଚମିନିମିନ୍‌ରେ

გ. დამტუკება და გატარება ცხოვრება-ში კანონმდებელ და სახელმწიფო ღია-სებულებათა საშუალებით იმ კანონებისა და განკარგულებებისა, რომელიც უზრუნ-ველ ჰყოფენ მშობლიო მეცნიერების და მეცნიერობის განვითარებას.

დ. მელინებაძე-მეცნინებერძაში ს ხელო
და სისარგვებლო კოლნათა გაფრცელებას
სკოლების, სახელმძღვანელოთა და სპე-
ციალურ უზრნალ განხეობის გამოცემის,
სხალხო ლექციების, ინსტრუქტორების
დანიშვნის ოჯ თათბირების მოწყობის
საშუალებით, გამოფენათა და ნაწილოე-
ბის ან იარაღ-მანქინების შეჯიბრებათა
გამართებას.

୧. ମେଲ୍‌ବିନ୍‌କୋର୍ଡା-ମ୍ବେଗ୍‌ର୍‌ବୋର୍ଡିଙ୍‌କୋର୍ପୀସ କାନ୍‌ଟାରିଯଂ
କ୍ରାଟିକ୍‌ସିରିଜୁର୍ ଓ ନେବ୍‌ ଫାର୍ମର୍‌କ୍ରିଏୱର୍
ମେଡିକ୍‌କାର୍‌ବୋର୍ଡିଙ୍‌କୋର୍ପୀସ ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ର ପରିବହଣ ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ର
ଦ୍ୱାରା ଗାମ୍‌ବିନ୍‌କୋର୍ଡାର୍‌ବେଳେ ଓ ପ୍ରେରଣା ଦେଖିଲେ ଉପରେ
ଦାତା ଥିଲା କୌଣସି ଶ୍ରେଣୀକ୍ଷେତ୍ର ମେଡିକ୍‌କାର୍‌ବୋର୍ଡିଙ୍‌କୋର୍ପୀସରେ.

3. ვენახების სიცრუის მომატებაზე, ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახების ოღვენაზე და ამ მიზნით საცდელ-საჩენაზე და საცდელ-ვების და სანერგების მოწყობაზე ზრუნვის.

ზ. ვენახების დასტურებისაგან დაზღვევის
ორგანიზაციის მოწყობის და სერვისთან
საბრძოლვებლ საშუალებათა კვლევა ძიე-
ბას და ვარიკითობას.

ც. ვაზის და ლვინის ევალენტობასთან
ბრძოლის წარმოებას, საწამლებელ მასა-
ლათა და იარაღ მანქანათა შეძენა-გვე-
რულებას ხალცში.

თ. ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა.



ი. სამელიორაციო კურილიტებზე ზრუნვას.

§ 4. წესდებით დასახულ მიზანთა მისაღწევათ ყრილობას უფლება აქვს:

ა. იყოლის წარმომადგენელები სახელშიფო, საერთო. და სხვა საზოგადო დაწესებულებებში და თაბირებში მონაწილეობის მისაღებად იმ საკითხების განხილვის დროს, რომელთაც კავშირში აქვთ მეღვინეობა - მევენახეობასთან, მაგალითად: აქციზის, რეინის გზის და საზღვაო ტარიფის, საბაჟო და სავაჭრო გადასახატების დაწესების ან გადასინჯვის დროს.

ბ. მოაწყოს და აწარმოვოს მეღვინეობა და მევენახეობისთვის და ლვინით გაქრობისთვის სასარგებლო დაწესებულებანი და სავაჭრო ხსიათის ორგანიზაციები.

გ. შეისრულოს თავის მიზნებთან შეწონილი და ამ წესდებით განსაზღვრული შეველივე სხვა მოვალეობანი.

§ 5. ყრილობა ცნობილია იურიდიულ პიროვნებად და აქვს კანონიერი უფლება უძრავ-მოძრავი ქონების სყიდვა-გაყიდვისა, დაქირავება-გაქირავებისა, დაგირავება-გადაგირავებისა, ხელშეკრულობათა შეკვრისა, ვალდებულობათა მიღება-გაცემისა, სასამართლოს წინაშე სიჩირის აღდერისა და პასუხის გებისა, შემოწირულება — მექვიდრეობის მიღებისა; ამას გარდა ყრილობას აქვს უფლება შევიდეს წევრად მის მიზნებისთვის შესაფერ სხვა და სხვა საზოგადოებასა და დაწესებულებებში.

§ 6. ყრილობას აქვს უფლება იილოს სესხი, რომლის პირობებს საზღვრავს თვით ყრილობა ან მისი დავალებით ყრილობის საბჭო.

§ 7. ყრილობა ექვემდებარება მიწათ მოქმედების სამინისტროს და მოქმედობს

მის შესახუნველობის ქვეშ. ხსიათ მიზნებითი ცნობებს ხარჯთ აღრიცხვის, წლიურ ინგარიშის, მოქმედების გეგმის და სის ყრილობაში მონაწილე პირთა და დაწესებულებათა შესახებ ყრილობა ყოველ წლიურად უდგენს ცნობისათვის მიწათ მოქმედების და ფინანსთა მინისტრებს.

§ 8 ყრილობის მიწერ-მოწერა სახელმწიფო თუ კერძო პირებთან და დაწესებულებებთან განთავისუფლებულია საღერბო და საფოსტო გადასახადისაგან.

§ 9. ყრილობას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღრებით და წარწერით: „საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა“.

II ყრილობის შემადგენლობა.

§ 10. ყრილობის სრულუფლებიან წევრებათ ითვლებიან:

- 1) თითო წარმომადგენელი-მევენახელება იმ თემებისა, რომელიც აწარმოებენ მევენახეობას.
- 2) თითო წარმომადგენელი მევენახეობის რაიონის ყველა საკრედიტო კოოპერატიულ ორგანიზაციებისა.
- 3) თითო წარმომადგენელი ყველა მევენახეობის რაიონების სამაზრო ერობებისა.
- 4) ერთი წარმომადგენელი ერობათა ცენტრისა.
- 5) თითო წარმომადგენელი ქ. თბილისის, ქუთაისის და ყველა სხვა ქალაქების თვითმმართველობებისა.
- 6) ერთი წარმომადგენელი საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა.
- 7) წარმომადგენელი მიწათ მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო განყოფილების, სააქციზო უწყვეტისა და ფინანსთა სამინისტროსი.
- 8) ყველა ქალაქთა ლიკინით მოვაჭრეთა წარმომადგენლები, მათ შორის: ქ. თბილისიდან-ქ, ქუთაისიდან-2 და დანარჩენ ქალაქებიდან თითო წარმომადგენელი, და სათათბი-



რო ხმრთ მელვინეობა—შევენახეობის
ყკელა სპეციალისტები და აკრონომები.

შენიშვნა I. უცხო სახელმწიფოთა
ქვეშეტრდომ პირებს და ფირმებს ყრილო-
ბებზე არჩევნებში მონაწილეობის უფლე-
ბა არა აქვთ.

შენიშვნა II. ლვინით ვაჭართა წარმო-
მადგენლების არჩევნები უნდა მოეწყოს
ინსტრუქციის თანახმად, რომელიც შემუშ-
ავებული იქმნება ყრილობათა საბჭოს მიერ,
ხოლო დამტკიცებული ყრილობის მიერ.

III. ყრილობათა საშუალებანი.

II. ყრილობების და მათ მმართველ
ორგანიზაციის საბჭოს ხარჯთა გასაძლოლად
წესდება შემდეგი გადასახადები: ა. კერძო
პირი, სავაჭრო სამსახურებლო დაწესებუ-
ლებანი, საზოგადოებანი და მმართველი,
რომელიც დაინიოთ და ცურარძიდებან მიღ-
ბულ მაგარ სასმელებით ვაჭრობის უფლე-
ბისთვის იხდიან საექციზო გადასახადს,
ყრილობის სასაჩვენებლოდ დამატებით იხ-
დიან ზემოაღნიშნულ გადასახადის 5%—ს
ბ. ის პირი, სავაჭრო-სამსახურებლო დაწე-
სებულებანი, საზოგადოებანი და მმართ-
ველი, რომელიც იხდიან ვენახებზედ
დაწესებულ სახელმწიფო გადასახადს,
ყრილობის სასაჩვენებლოდ იხდიან ამ გა-
დასახადების ჯამის 20%ს.

შენიშვნა I. ამ პარაგრაფში მახსენებულ
გადასახადების მოკრეფა ევალება სახა-
ზინოებს და სხვა სახელმწიფო დაწესებუ-
ლებათ და ხდება იმავე დროსა და იმავე
წესით, როგორითაც სახელმწიფო გადა-
სახადების მოკრეფა. ყრილობათა სასარგე-
ბლოთ ამ როგორ მიღებული შემოსავალი
სახაზინოებში და ყველა სხვა დაწესებუ-
ლებებში უნდა ყოველ თვეურიდ გადას-
უნ ყრილობათა საბჭოს სათანადო სიით.

შენიშვნა II. ყრილობათა საშუალება-
ნი და თანხები ინახება საკრძილო დაწეს-
ებულებებში.

§ 12. § 11-ში მოხსენებულ უფლება და
დების გარდა ყრილობათა საშუალებები
შეაღებენ:

ა. ყრილობათა სხვა და სხვა სავაჭრო,
დაწესებულებათა და ოპერაციებით მიღებ
ბული მოგება.

ბ. პროცენტები თანხებისა და შემოსა-
ვალი იმ ქანებისა, რომელიც ყრილო-
ბათა საკუთრებას შეაღებს.

გ. მოწმობების, ცნობების და სხვა სა-
მუხტების გაცემით მიღებული გადასახა-
დი და

დ. სხვა და სხვა შემოხვევითი შემოსა-
ვალი.

§ 13. ყრილობათ ენიჭებათ უფლება
შექმნან თავის შემოსავლიდან სხვა და
სხვა განსაკუთრებული დანიშნულების თან-
ხები.

§ 14. მევნახეობის, მელვინეობის, თ-
ღვინის ვაჭრობის ხელშემუშავების სხვა და სხვ.
დაწესებულებათ დასახარებლად და მოს-
წყობად ყრილობათ ენიჭებათ უფლება გა-
მოსცენ, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწვე-
ლობის მინისტრთა ნებართვით, განსაკუთ-
რებული საობლივაციო სესხი.

IV ყრილობის საქმეთა მმართველი.

§ 15. მელვინ-მევნახეთა ყრილობები
ანხორციელებენ დასახულ მიზნებს და მო-
გალეობებს შემდეგის ორგანიზაციების სა-
შუალებით: ა. წევრთა საზოგადო ყრი-
ლობით; ბ. ყრილობათა საბჭოთი და გ-
სარეგიზიო კომისიით.

შენიშვნა. აღნიშნულ ორგანიზაციები
გარდა ყრილობათ უფლება აქვთ შეაღ-
ბინონ მუდმივი და დროებითი სპეცია-
ლური კომისიები, როგორც სხვა და სხვ.
საკითხების გამოკვლევისა და შემუშავე-
ბისათვის, ავტორუ ყრილობების მიერ და
წყვბულ სხვა და სხვა საქმეების გამგებ
ლობისათვის.



ამ კომისიების შემადგენლობა და უფლება-მოვალეობანი უნდა განისაზღვრონ ყრი-ლობის მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ ინსტრუქციით.

§ 16. საქართველოს მელინე-მეცნახე-თა ყრილობების და მათ საბჭოს მოქმედების გასაფაროთობლათ და ადგილობრივ საქიროებათა დასაქმაყუფილებლათ არსებება მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ დებულების მიხედვით მცირე სასოფლო მელინე-მეცნახე-თა ერთეულები ორგანიზაციები, რომელნიც აღმინისტრატორულ ერთეულების დამხმარებით ხელს შეუწყობენ ყრილობათა საბჭოს თუ მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ მელინეობა-მეცნახე-ობაში აღიარებულ საჭირო ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას.

ყრილობათა საბჭო; მისი უფლება მო-
აღლობანი.

§ 17. ყრილობათა ყველა საქმეებს აწარმოებს ყრილობათა საბჭო, რომელიც ბინადრობს ქ. თბილისში და წარმომადგენლობს ყრილობების ყველა საქმეებში და დამოკიდებულებაში სხვა და სხვა პირებთან თუ დაწესებულებებთან. საბჭოს და ცალ-ცალკე მის წევრთა უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს ყრილობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია.

§ 18. კერძოთ საბჭოს ევალება:

ა. შედგენა წესებისა და ინსტრუქციებისა ყრილობათა სხვა და სხვა დარღვების განვითარების და მოქმედების შესახებ ყრილობათათვის წარსადგენათ.

ბ. მიღება და გაცემა უფლისა და ყრილობათა ყოველივე საშუალებებისა.

გ. კერძოების ან სხვა ვალიდებულობათა გაცემა ყრილობის მიერ ნება დართულ ფარგლებში.

დ. ყოველგვარ პირობათა და ხელშეკრულობათა დადება ყრილობების სახელით.

ე. სხვა და სხვა პირთა ჩვის ჯუმურებით და ვექილობის მიცემა.

ვ. საჭირო უძრავ-მოძრავი ქონების და საქონლის სყიდვა-გაყიდვა, მათი დაგირავება-გადაგირავება და ყრილობითა ქონების დაზღვევა.

ზ. საჭირო ბინების და საწყობების დაქირავება.

ი. მოხამისახურეთა მრღება-დათხოვნა და მათი მუშაობის და მოვალეობის განსაზღვრა.

ო. შედგენა ცალკე კომისიებისა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება მინიჭებული იქვს საბჭოს ყრილობების მიერ.

ი. ანგარიშების წიგნების და ყრილობათა მიწერ-მოწერის წარმოება.

ია. წლიურ ანგარიშების ხარჯთ-აღრიცხვის და მოქმედების გეგმათა შედგენა და მათი წარდგენა ყრილობათათვის.

იბ. წევრთა საერთო ყრილობების მოწვევა და საზოგადოთ გამგებლობა ყველა საქმეებისა, რომელიც ყვუთვნიან ყრილობათა დანიშნულებას, მათ მიერ არის საბჭოსადმი დაგალებულნი, და ყველა სხვა მოვალეობანი, რომელიც არსებითად გამომდინარებენ ან წესდების შინაგანიდან.

§ 19. საბჭო შესდგება არა ნაკლებ შეიდი წევრისაგან. მათ შორის თავმჯდომარის და მის მმართველისაგან, რომელთაც იჩინებს ყრილობა მელინე-მეცნახეთა შორის სამი წლის ვადით. მათ ყრილობის დადგენილებით შეიძლება დაწინაშინო ჯილდო.

შენიშვნა. ასარჩევ თანამდებობაზედ შეიძლება იკვნენ აჩჩეულნი მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომნი.

§ 20. საბჭოს წევრთა გარდა ყრილობა იჩინებს იმავე წესით სამ კანდიდატს, რომ დროებით დიაკონონ საბჭოს წევრის აღავგი, თუ რომელიმე მათვინი დროებით ან სამუდამოთ გამოვა საბჭოდან.



შენიშვნა. კანტიდანტი ასრულებს საბჭოს წევრის მოვალეობას იმ ვადით, რა ვადათაც იყო არჩეული თვით საბჭოს გასული წევრი.

§ 21. ყოველ წლიურად საბჭოს წევრთა და მათ კანტიდატთა მეხამედა სტუდენტები სამსახურს ამორჩევის უფროსობით. პირველ ყოილობაზე არჩეული საბჭოს წევრნი და მათი კანტიდატები პირველ ორ წელიწადს კენჭის ყრით გამოიდინ, გარდა თავმჯდომარისა, რომელიც სამ წელიწადს ასრულებს; გამოსული წევრი საბჭოს შეიძლება ხელმეორეთ არჩიონ.

§ 22. საბჭო თავის წევრთა შორის ირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარს და, საზოგადოთ, ანაწილებს წევრთა შორის მოვალეობებს.

§ 23. საბჭო იტრიბუტა საკიროებისამებრ, მხოლოდ არა ნაკლებ, ვიდრე კვირაში ერთხელ; საბჭოს სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი ამხანაგი და სამი წევრი; საბჭოს სხდომაზე საკიონები სწყდება ხმის უბრალო უმეტესობით, იმ შემთხვევაში თუ ხმები თანაბარია თავმჯდომარის ხმა სწყვეტს ხაյოთხს, საბჭოს დადგენილებანი იწერება განსაკუთრებულ წიგნში და დამსწრე წევრნი აწერენ ხელს.

§ 24. ყოველ გვარ მიწერ-მოწერას საბჭო აწარმოებს ყრილობის სახელით და საბჭოს თავმჯდომარის ან მისი ამხანაგის ხელის მოწერით.

§ 24. თამასუქები, რწმუნებულებანი, ხელწერილები, ხელშეკრულებანი, ნახილობის ქაღალდები და სხვა აქტები, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებებიდან ყრილობათა თანხების მიღების მოთხოვნილებანი, უნდა იყოს ხელმოწერილი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი ამხანაგის და კოდევს საბჭოს ერთ-ერთ წევრის მიერ. ფოს-

ტიდან ფულის მანათის და უნდა მისამართის გარეთვე შესანიშად შეტანილ სარგებლიან ქაღალდების და კუპინების მისაღებათ საკმარისია ხელის მოწერა საბჭოს ერთ წევრის ურილობითა ბეჭდის დასმით.

§ 26. საბჭო ხარჯავს ფულს თანახმათ ყრილობის მ-ერ მიღებულ ხარჯთ იღრიცხვისა; ყრილობამდე უნდა განსაზღვროს იმ ხარჯის რაოდენობა, რომლის დახარჯვაც საბჭოს შეუძლიან ხარჯთაღრიცხვის ზედმეტა—ვინიცობაა ხარჯი მოულოდნელი და გადაუდებელია,— მა შემთხვევაში საბჭოს წევრნი პასუხის გებელინი არიან ყრილობის წინაშე; მა გვარი ხარჯის გაწევა საბჭომ უნდა გადასწყვიტოს თავის შემადგენლობის არა ნაკლებ ორი მესამედის ხმით.

V. ანგარიში და რევიზია.

§ 27. საბჭო ვალდებულია შეადგინოს ყოველ განვლილი წლის წლიური ანგარიში და მისი თანხების ტრიაღის ბალინი. აგრეთვე უნდა შედგენილ იქმნას ხარჯთ იღრიცხვა და გეგმა მოქმედებისა მომავალი წლისათვის; ხოლო ცელია ესენი ყრილობას წარედგინება დასამტკიციტლად სარევიზიო კომისიის მიერ განხილვის და შეწორების შემდეგ.

შენიშვნა. ანგარიში უნდა იყოს შედგენილი და საბჭოსა და სახევიზიო კომისიის მიერ ხელმოწერილი არა უგვიანეს ორი კვირისა ყრილობის დღემდე; რომელსაც ეს ანგარიში უნდა წარედგინოს. მა თრი კვირის განმავლობაში ანგარიში განსაზღვრულ ღროს საბჭოს ბინაზე მსუბუკელთავის ღრია უნდა იყოს გადასათვალიერებლად.

§ 28. ყრილობათა საანგარიშო წელიწადი იწყება ნოემბრიდან და თავდება 31 ოქტომბერს; თუ ყრილობა შესდგება საან-

გარიშმი წლის განმეოლობაში პირები
საანგარიშო წელი ითვლება მოქმედების
დაწყებიდან 31 ოქტომბრამდე მიმდინარე
წლისა.

§ 29. სარეკონიო კომისიის ყრილობა
იჩიეს ამა ნაკლებ სამი წევრისა და ორი
კანდიდატისაგან ერთი წლის ვადით იმ
პირთა შორის, რომელიც აქ შედინ
საბჭოს შემადგენლობაში და არც რაიმე
თანამდებობა უკავიათ ყრილობათა საქ-
მეცხვილო.

§ 30. სარევიზოო კომისიის ევალება
მომავალ ყრილობის დღეზე ერთი თვით
აღზე გადასინჯვა წარსული წლის ანგა-
რიშების ბალანსისა და შათთან დაკავში-
რებულ დაფირების ს.ბ.შთაბის და ანგა-
რიშებისა, რომელნიც თავისი დასკვნით
შეაქვთ, ყრილობაზე. სარევიზოო კომისიის
აქტს უფლება აღრეთვე მოულოდნელი
რევიზიისა.

§ 31. სარევიზოი კიბისის მოქმედების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ თვით ყრილობასთან, ხოლო ხისიარი მიეცემა სარევიზო კომისიას, რომელმაც იგი თვითი დასკვნით უნდა წარუდგინოს უახლოეს ყრილობას.

VI. კრილობები.

§32. ყრილობები არის ჩვეულებრივი
ანუ წლიური და არაჩვეულებრივი; ჩვე
ულებრივ ყრილობას საბჭო იწვევს ყმ-
ველ წლს არა უგვიანეს თვებრვლისა
წარსული წლის ანგარიშის, შემდეგი
წლის ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების
გეგმის განსაზღვევად და დასამტკიცებ-
ლად და იგრძოვე საბჭოს წვერების, მათი
კანდიდატების და საკუთრივ კომისიის
ასარჩევად. ყრილობაზე ორჩევა და სწავლე-
ბა სხვა საკითხებიც, რომელიც საბჭოს
უფლებას აღმატებია ან და აღმარტინი
იქნებიან თვით ყრილობის მიერ.

§ 33. არაჩეულებრივ ყრილობების მდგრადი საბჭო ან თავისით, ან ყრილობის ათი წევრის ან და სარევიზიო კომისიის მოთხოვნილებით; ამ გვარი მოთხოვნილება ყრილობათა წევრებისა ან სარევიზიო კომისიისა სისრულეში უნდა იყოს მოყვანილი საბჭოს მიერ არა უფროინესობრივი თვისა დღიდან საბჭოში, ყრილობის მოწვევის შესახებ, განცხადების შეტანისა.

§ 34. ყრილობის პრეზიდენტის იმჩევა
თვით ყრილობა; მის არჩევამდე ყრილო-
ბას ხელმძღვანელობს საბჭოს პრეზიდენტი.

§ 35. ყრილობის სხდომა კანონიერია,
თუ მას დაესწრო არა ნაკლები ყრილო-
ბათა ყველა წევრთა მეათედი რიცხვისა;
ვინიცუბა ეს წევრთა გათვედი რიც-
ხვი ყრილობაზე არ დაესწრო, თუდა
ოთხს საარის შემდევ ინიშნება პირველი
კრების მაგისტრ მეორე კრება, რომელიც
კანონიერია მიუხედავად დამსწრე წევრთა
რაოდენობისა.

§ 36. ყილობის მიერ განსახილველი
ყველა საკითხი უნდა იყოს შეტანილი
ყრილობაში თვით საბჭოს მიერ. ამიტომ
წევრმა, რომელსაც სურს ყრილობაში
რაიმე საკითხის შეტანა, უნდა წერილო-
ბით მიჰქართოს საბჭოს არა უგვიანეს
ათი დღისა ყრილობის დღემდე; ეს წინა-
დადება-განცხადება საბჭომ უნდა წარუ-
დგინოს ყრილობას თავისი დასკვნით.

§ 37. ყრილობის დადგენილებანი უნდა იყოს შეტანილი ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ყრილობის თავმჯდომარე, ყველა დამსტრე საპქოს წევრი და ხუთი ყრილობის წევრი ჩაინა.

§ 38. ଦରା ଦା ଶିଳା ପ୍ରକାଶନବିଦୀରେ ଯନ୍ତ୍ରିତ ହୁଏ ଥିଲା ଏବଂ ଏହାର ପରିପାଳନକୁ ପରିପାଳନ କରିବାରେ ଅଧିକାର ଦିଆଯାଇଛି।

ბაში სიეკტით უნდა იყოს მოყვანილი ყრილობის მიერ განსახილებით საკითხები.

§ 39. ყრილობაში მონაწილეობის იღებები მხოლოდ ყრილობის ორჩეული რწმუნებული. ხმის გადაცემა დაუცვებელია ყველა საკითხი, არჩევნების გარდა ყრილობაზე სწყდება ყრილობის სურვილით ექნის ყრით, ან ბარათების მიწოდებით, ან და წევრთა ფეხზე ადგომით. თვით ამ წესრიგის საკითხი გარდაწყდება წევრთა ფეხზე ადგომით. არჩევნები ყრილობაში მოხდება მხოლოდ ფარული კენჭის ყრით.

§ 40. ეს წესრება შეიძლება შეიქსოს ან შეიცვლოს საერთო ყრილობაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედის ხმის უმრჩვლესობით მიღებულ დადგენილების თანახმად და ფრანგნათა და ვამპინბა-მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ლვინის კანუნ-პროექტი

1. ლვინი ეწოდება მხოლოდ ისეთს სახელის, რომელიც წარმოშობილია ყურძნის ტკილის ალკოჰოლმშობ დუღილით ჰქონაზე ან უკავედო.

რისამე ჩამოტება ამ ნაწარში, გარდა ამავე კანონის მე 2. მუხლში მოხსენებულისა, აკრძალულია.

2. მთავრობისათვის განუცხადებლათ მემარნეობაში ნება დართულია:

ა. ლვინის რჩეული და ჩვეულებრივი დედა;

ბ. ლვინის დასაშმენდი უვნებელი საშუალებანი (უელატინა, თევზის ბუშტი, ცილა, რძე, კაჭენი, ტანინი, კოლინი ესპანეთის მიწა, კაესი ქვიშა, აზბესტი, ცელულოზა, ნახშირი);

გ. ლვინის ქვის სიმევე, ლიმონის სიმევე, ნახშირის სიმევე, აშ-ნის მარილები;

დ. უდარიშხანი გოგირდი, თხიადი გოგირდიანი სიმევე;

ე. პასტერიზაცია;

ვ. გაყინვა კონკრეტურის შესახებ;

ზ. კუპაზი;

ც. მთავრობის ნებართვით განსაკუთრებულ შეთხევებში და ექსპორტისათვის სუფრის ღვინოებში ღვინიდან მიღებულ ალკოჰოლის ჩამატება მოცულობით 12% -მდე, იმ პირობით კი, რომ ჩამატებულ ალკოჰოლის რაოდენობა არ აღემატებოდეს 3% -ს (საამისო ალკოჰოლი აქციზ აუხდელია).

3. აკრძალულია:

ა. ლვინოში ლიტრზე $0,92$ გრამზე მეტი გოგირდის სიმევის ან ციდრიდის ტოლფასი სულფატები;

ბ. გოგირდ ჩაბოლებულ ან გოგირდიან სიმევერეულ ღვინოში ლიტრზე $0,2$ გრამის მეტი საერთო,— ხოლო $0,02$ გრამის მეტი თავისუფალი გოგირდიანი სიმევე;

გ. ლვინოში ლიტრზე $0,01$ გრამზე მეტი სპილენძი;

დ. ლვინისთვის ფერის მისაცემათ მინრალურ და ორგანულ საფერიაეთა ხმარება;

ე. გოგირდიან სიმევის გარდა ისეთ ნივთიერებათა ხმარება, რომელთაც მიზნათ აქვთ ლვინის დედის მოქმედების შეჩერება ან რამ ან ტრისეფტრიკური გავლენის მოხდენა ლვინოშე (სალიცილის სიმევე, ბენცოეს სიმევე, ბორის სიმევე);

ვ. ლვინოში ორგანულ სიმევეთა (გარდა მეორე მუხლში მოხსენებულისა) და მათ პარილების, გლიცერინის, ხელოვნურ ტკილ ნივთობთა (სახარინი) და სურნელობათა ჩამატება;

ზ. ლვინოში ჩამატება წყალში ხსნად ჯამბრთელობისათვის მავნებელ იმისთვის მინერალურ და ორგანულ ნივთობთა, როგორებიც არის ალუმინის—, ბარის—, სტრონიუმის— და სხვა შემცემების მარილები, გოგირდის, მეუჯნის სიმევები და სხვა;

ც. ლვინოში ან ტკილში წყლის ჩამატება;

ո. Ըցոնո՞մո ան բրձովո՞մո Շայանու
ան Շեյշանիցու հօմարեցա.

ո. Ծայանիցու ըցու (լուրջ Ըցոնո՞մ 0,2
շամաչի մցուր ամյալագու սիմյաց մմուս
սմյաց) դա և սեպա զարաւ ճապալեցու^ւ
Ըցոնո՞մուտ զայնուա:

ո. Ըցոնու ճապալեցա հօմինուան, քայու-
սան դա տեղուան;

Շենօնչեցա: Տայուտար մոտեցունուցու-
ստցու Շենօնչեցա մեռլուու քայուցան դա
տեղուան ան Շայանիցու ան մեռլուու
նուցու մանուս ճամփալեցա ան Շմյերէս
10 զերուու ճայսերինա զենասինց.

ո. Տայուրու Ըցոնո՞մո ալյուտունու հօ-
մարեցա § 2, Ա մշելուու մուսեյնեցու^ւ
Մեթեցցու ցարծա.

4. Քահմունուես օգուլու Տայուրու Յա-
րէցա (յանուրի Ըցոնո, յարօնանու Ըցոնո,
յայլմինուուր, նայուրյուլո, Տայուրու Ըցո-
նո դա սեպա) Շեյսմու ույտու Ըցոյցու,
հոմյունու մարտու անունու օգուլու-
սան արու Քահմունուուր. Սուշուրուուն
Մեթեցցու Ըցոնո Շայանուցա Շնդա
սրարեցու տացու յայսու Տայուրու Տայուրու.

5. Կուծ յայսու գանսայուրհեցու^ւ
Ըցոնո՞մու (ռոցուրի մացալուուա: „մա-
լացա“ „Քորհույունո“ „Շամբանուրի“) միցա-
սաւ օպայնեցու^ւ Ըցոնո՞մու Քոնյարուու
Տուրպա: „Քորհուլո“, մաց: „Քարուլո
մալացա“, „Քարուլո Ֆորհույունո“, „Քա-
րուլո Շամբանուրի“.

Շենօնչեցա: „Քարուլո Շամբանուրի“ դա
„Մշեա Ըցոնո՞մու“ ճամփալեցուստցու սայուրո
Շեյշու Տայուրու ամբանուցա Տայուրուցու^ւ
լուցու Քոնյարու յանուացա նյեարուցու
ասալցաւ.

6. Տայուրումյացու յայլեցուու Շնդա
Ըցոնո՞մու յշուուցա: „Մշեա Ըցոնո.“

7. Մացարու Ըցոնո՞մու յշուուցա ույտու
Ըցոյցու, հոմյունու մուցեցուու պար-
նու բրձուու ալյուտումու դուլուուտ
յայսու ան Կուծու դա Ըցոնուան մուց-

ծուլ ալյուտունու ճամարեցու Շնդա պար-
բար մուցունու 25%—սա.

8. Բրձուու ան լոյցուուրու Ըցոնո՞մո
յշուուցա ույտու Ըցոնո՞մու, Հումուրու
ան Շեյշու յարունուրա, ան բրձուու Շեյ-
շուուցու արու ճամփալեցու դա կու-
լու մուշու մուցունու 18%—դա Ըցո-
նուան մուցեցու ալյուտունու յայսուիցու-
լո.

9. Երկարուցու Տայուրու յայլեցուու Քահ-
մու յուրմուսա դա Ըցոնու Քահմուցու ալ-
ցուուրա.

10. Կայու Քահմու մոտեցուու մոտ-
եցունուն Ըցոնու ճամփալեցու դա Շել-
ցունունու Շենաեց Շյենց այրուուց
Տանցար յարուուան Կայու Շեմունուցու^ւ
Ըցոնո՞մու, ույ ամ Տայուրու յուտուցա ճա-
պացու կույտուրուուցա գանսայուրհեցու^ւ
Շուլցու ան այսունց թատ.

11. Աս յանոն յամուու պար-
ուուս Կայու Ըցոնու Տայուրու յայլեցու դա
Տայուրուցա.

12. Ամ յանոն ճարլայու յայ-
լեցու այսա:

ա. Մեթեցցու Տայուրու յայլեցու մա-
տու պարու մարտուու յայլեցու պարու
յանոն նյեա ճայուրուցու նոյտուու Ըցո-
նու հօմարեցուստցու

I. Մեթեցցու 10000—20000 ման-
տու ճայուրումիցու.

II. Մեթեցցու 20000—50000 ման-
տու ճայուրումիցու.

թ. Մեթեցցու Տայուրու յայլեցու մա-
տու յայլեցու մանու Տայուրու յայլեցու մա-
տու յայլեցու մանու Տայուրու յայլեցու մա-

1. Մեթեցցու 10000—20000 ման-
տու ճայուրումիցու դա 3—14 օդումու
Կույտու Ճայուրումիցու.

II. Մեթեցցու 20000—50000 ման-
տու ճայուրումիցու դա 14 60 օդումու
Կույտու Ճայուրումիցու.

թ. Մեթեցցու Տայուրու յայլեցու մա-

1. Մեթեցցու 20000—50000 ման-
տու ճայուրումիցու դա 14—30 օդումու
Կույտու Ճայուրումիցու.

II. შემოხვევაში 50000 - 100000 მანეთამდე დაჯარიშებით და 1 - 3 თვემდე ციხეში დატუსაღებით.

შენიშვნა 1. მე—3 მუხლის ც ში დამაშავეთ მე II რე შემჩნევის შემდეგ და დანარჩენ დამაშავეთ კა მე—III შემჩნევის შემდეგ მიესჯებათ უდიჯესა სასჯელი და სამუდამოა ეკრალებათ ლვინით ვაკრობა.

შენიშვნა 2. ყველა აღნიშნულ დამაშავეთა ლვინო კონფისკაციის სახით სახელმწიფოს ხელში გადადის, რომელიც აღნიშნულ ლვინოებს ან სრულიად სპობს ან და სპირტის გამოსახდელად იყენებს.

პ რ ე ს პ .

განვითარებული 24 ინისის ნომერში, მოთავსებულია წერილი კ. ვაბიჩვაძისა სათაურით: „ლვინის ფალსიტიკურია“. წერილში შეიყვანილია ისტორია, ლვინის კანონის გამოცემის და ცხოვრებაში გატარებისა, მელინი მევრიახეობის კომიტეტის შომვედრისა და სხვა.

ავტორს, როგორც სჩინს მისი წერილიდან, ძალიან მოსწონს ქველა დღინის კანონი და ელის მის ხელაბალი შემოღებას. სხვათა შორის წერილის ავტორს თავისი აზრების განსახორციელებლად გადადგამ კიდევ რამდენიმე ნაბეჭი. მას ქალაქ თბილისში მოურავი უნახით და მიურათმევია ჩოხსენება ლვინის ფალსიტიკურის შესახებ.

ქალაქის მოურავს დიდის უშადლებით მოუშენია მოხსენება და, ავტორისავე სიტუაცით, მოხსენებაზე რუსოლიური წარწერია: „განხილულ და მოღებულ იყოს მილენ“. მასს ნება შემდეგ სანიტარულ განვითარებისათვის დასამუშავებლად გადაუკარა შემდეგი მილენი არის არა მოღებული უფრო მეტად და დამტენებელი კრებას და ეს უკანასკნელი მხრილი დამტენების შემდეგ გამოაქვეყნეს. ამიტომ ბ-ნ გაპირებებს თავის განხილული უნდა მიემართა ან მიწად მოქმედების სამინისტროსათვეს ან მელქ-ნ-მევრახეთა კრილობათა საპროსტვის საშუალებრივო და არა ქალაქის მოურავისთვის. რადგან მისი მოქმედება განისახლებოდა მხოლოდ ქალაქ თელისით, სხვა ადგილას მის დადგენილებებს არა აქვს ძალა, და როგორც ვიჟორ, ლვინის კანონით კა დაინტერესებულია მ-ელი საქართველოს.

ვ წერილზედ საჭარო არ გვითხვევა ბა, მას რომ ირ ბეჭდივების ისეთი ორგანიზაცია „ერთობა“, და ისკოთ ივტორი წერილისა, როგორც სელვინ კ. ვაბიჩვაძე, თბილისის მელვინ მევრიახეობის კომიტეტის ყოფილი აგნტი, რომელიც ლვინის ფალსიტიკაციას ებრძოდა და კარგად უნდა იკოდეს ლვინის კანონის ამბავი.

ლვინის წარმოებით და გისაღებით, თუ მისი ბუნებრივი შემადგენლობით დაინტერესებულია არა მარტო ქალაქის თვე, არამედ მთელი რივი უშეუბათა, როგორც: საქართველოს მევრიახეთა და მელვინეთა ყრილობების საბჭო, მიწად მოქმედებითა და ფინანსთა სამინისტრო, ლვინის შრამოებელი კომიტეტია ტივები და სახოგადოებანი და სხვა მრავალი.

როგორც საზოგადოლ ყველა კანონები, არეთვე ლვინისა ჯერ უნდა დამუშავდეს და გადასინჯოს სათანადო დაწესებულებებში. რადგანაც ლვინის კანონი არის საციალური დარგი და არა საქალაქო მეურნეობა, მის შემუშავებას სკირდება მრავალ მხრით სათანადო ცილინდრი, გომილილება და დაკარივება; დამუშავების შემდეგ კანონ პროექტი უნდა გადაეცეს დამტენებელ კრებას და ეს უკანასკნელი მხრილი დამტენების შემდეგ გამოაქვეყნეს. ამიტომ ბ-ნ გაპირებებს თავის განხილული უნდა მიემართა ან მიწად მოქმედების სამინისტროსათვეს ან მელქ-ნ-მევრახეთა კრილობათა საპროსტვის საშუალებრივო და არა ქალაქის მოურავისთვის. რადგან მისი მოქმედება განისახლებოდა მხოლოდ ქალაქ თელისით, სხვა ადგილას მის დადგენილებებს არა აქვს ძალა, და როგორც ვიჟორ, ლვინის კანონით კა დაინტერესებულია მ-ელი საქართველოს.

აქვე დაინტერესებულთა საყურადღებოთ უნდა აღუნიშვილო, რომ მეღვინი შევენახეთ კრილობათა საპროსტვის უკანასკნელი კრილო პროექტი, რომელიც ამ მოქმედ ხანში წარედგინება სათანადო დაწესებულებებში განსაზილებელად და დასამტენებლად.

ნარ-ზენ.

